№ 72
შაბათი, 1 აპრილი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 72
1 აპრილი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ". განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

**ა. ნ. შჲაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შჲაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница **Д-ра Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову
(—1—წ).

ტფილისი, 31 მარტი

იმისდა მიუხედავად, რომ თებერვალსა და მარტში ბურებს დიდი უბედურება ეწვიათ, რადგან ორი სახელოვანი გენერალი დააკლდათ, კრონიე და ჟუბერი, ბურები მხნედ იცავენ სამშობლოს და ინგლისელებს ნაცარ ტუტას ადენენ. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ოთხჯერ გაიმარჯვეს ბურებმა ინგლისელებზედ. ერთხელ შვიდი ზარბაზანი წაართვეს, ხუთასამდე მეომარი ტყვედ წაიყვანეს და 200 სურსათით დატვირთული ურემი ჩაიგდეს ხელში. მეორეჯელ ხუთი როტა ინგლისის ჯარისა გაირეკეს წინა და თუმცა დიდად შეეცადნენ ინგლისელები, მაგრამ ვერც ტყვენი და ვერც წართმეული ზარბაზნები ვეღარ დაიბრუნეს უკან.

მესამე გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ბრძოლა ვეპერენთან და ქ მეფეკინგთან. ალყა-შემორტყმულ მეფეკინგს ძალიან უჭირს საქმე და დღეს თუ ხვალ მისი ბედი სამუდამოდ გადაწყდება. მეფეკინგზედ იერიშის მიტანას ერიდებოდნენ ბურები, რადგან იერიშის მიტანის დროს ბევრნი გაწყდებიანო და ამას დიდად ერიდებოდა გენერალი კრონიე, როგორც სხვა ბურის გენერლები. რიცხვით მცირე ბურებს ჭმართებთ ხალხის გაფრთხილება. იერიში რომ მივიტანოთო, უთქვამს კრონიეს, 1,500 ცოლშვილიანი მეომარი მომიკვდება და სადღა ვიშოვო 1,500 მამა-კაცი ამდენივე ქვრივის საქმროდაო. როგორცა სჩანს, ასეთი აზრი შეუცვლია პრეზიდენტ კრიუგერს. იმისის ფიქრით ბურების გასამხნევებლად საჭიროა მეფეკინგის იერიშით აღება და ეს საქმე თავის ძმისწულ ახალგაზდა კაპიტან კოოპფისთვის მიუნდვია. ამ გარემოებით აიხსნება, რომ მეფეკინგი ამ ბოლოს დროს ძალიან შეაწუხეს ბურებმა და იმასაც-კი იტყობინებიან, რომ მეფეკინგის მეციხოვნეთა უფროსი პოლკოვნიკი ბადენ პოუელი, ყუმბარისაგან განგმირული გარდაიცვალაო.

რვა-ცხრა აპრილს ბურებმა დაამარცხეს ინგლისელები მეოთხეჯერ. დეპეშების სიტყვით, ინგლისელებისთვის მოუკლავთ 600 კაცი, ტყვედ წაუყვანიათ 900 და წაურთმევიათ 12 ურემი. ინგლისელების დამამარცხებელი ბურების გენერალი დევეტია. დევეტმა თავი იჩინა ამ ბოლოს დროს და, როგორცა სჩანს, გარგადაც იჩინა თავი. მდ. მოდერ რივერთან ინგლისელების დამარცხება მეტის-მეტად საყურადღებოა, რადგან ინგლისელების ბანაკი მთავარ-სარდლის რობერტსის უმთავრესის ჯარების ბინიდგან სულ 15 ვერსტის მანძილზედ იყო გამართული. ამას გარდა, ბურებმა ამ გამარჯვებით დიდი ზიანი მიაყენეს ინგლისელებს

## ფელეტონი

**ჟოზეტტა მარსენი.**

(ერნესტო დოდეს ისტორიული მოთხრობა)

(დასასრული *)

— იმ შემთხვევაშიაც-კი, რომ მე მზად ვიყო ვიყიდო მისი სიცოცხლე და თავისუფლება იმ ფასად, რა ფასადაც თქვენ მოისურვებთ?

ამ სიტყვებით ჟოზეტტა გულადად მიუახლოვდა ბარრას, თითქოს ამით უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ მზად იყო მოეტანა მისთვის მსხვერპლად თავისი სილამაზე და ამითი უნდოდა მოეხიბლა; მეტის-მეტ მღელვარებისაგან თვალები ანთებოდა და საშინლად უელვარებდა, რაც ძლიერ უხდებოდა და მომხიბლავად ჰხდიდა.

— ახლა კი ვხედავ, როგორც გყვარებიათ! წამოიძახა ბარრამ.

— მიყვარს ის ისევე, როგორც მე იმას; ის ჩემი მბრძანებელია და სულით-ხორციანად იმას ვეკუთვნი..

— და მზადა ხართ იმის დახსნისთვის თქვენი უმანკოება გასწიროთ?

— იმის საშველად მზადა ვარ ყველაფერი ჩავიდინო...

— მერე მაგ სიტყვებით რომ ვისარგებლოთ? წარმოსთქვა ბარრამ, წაიწია წინ და სცადა მისს მოყვანილს წელზედ ხელის შემოხვევა, მაგრამ წუთს შემდეგ ხელი უღონოდ ძირს ჩამოუვარდა და თითქმის კვნესით წამოიძახა: დამშვიდდით, თავისს დღეში არ მოვითხოვ თქვენგან მაგგვარს მსხვერპლს. იმისდა მიუხედავად, რომ თქვენის მხრივ როლანდ დე-პელლიევრის ერთგულება განუზომელად მაღალი და პატიოსანია, ის მაინც თავისს დღეში არ გაპატიებთ ამას. მოკვდება, რადგან დაიმსახურა სიკვდილი; მაგრამ სამაგიეროდ საფლავში ჩაჰყვება ის გრძნობა, რომ უკანასკნელს წუთამდის არ უღალატიეთ, და რომ ბარრა პატიოსანი მტერი იყო იმისი!

— სჩანს, არ გინდათ მიუტევოთ? ჰკითხა ჟოზეტტამ.

— არა, ეგ ჩემს ხელთ აღარაა, ის ახლა სასამართლოს ეკუთვნის.

— ეგ ტყუილია, ის ჯერ სასამართლოს წინ არ არის წამდგარი!

— მაგის დაცვას დაანებეთ თავი ჟოზეტტა! მე ვერაფრით ვერ შემიძლიან მისი დახსნა; ჩემი გავლენა ძლივს იკმარებს თქვენს დასახსნელად.

ჟოზეტტა წელში გაიმართა და გაშმაგებით, გასაოცარის მხნეობით შეჰყვირა:

— სრულიადაც არა მსურს უმაგისოდ თავისუფლება! მე არ ვიცავ ჩემს სიცოცხლეს! უროლანდოთ იგი საზიზღარი იქმნება ჩემთვის! თუ ის მოკვდება, მეც იმასთან მოვკვდები!

ამ სიტყვებით მუხლებზედ დაეცა ბარრას წინ, დაუჭირა ხელები და ვედრებით განაგრძო:

— შემიბრალეთ, მომეცით ნება გავინაწილო იმისი უბედურება, ვინც მე მიყვარს!.. განა შეგიძლიანთ ამისი უარი მითხრათ? ჩემი დანაშაული მაგისაზედ მძიმეა, იმას ხომ ბოროტად არ მოუხმარებია ჩემსავით თქვენი ნდობა, იმას ხომ ჩემსავით არ მოუტყუებიხართ... საშინელება იქმნება მისი სიკვდილით დასჯა იმ დროს, როდესაც მე განმათავისუფლებთ... ნუ განგვაშორებთ, ბარრა, თუ მაინცა და მაინც არ იშლით იმისს დასჯას, მოიღეთ მოწყალება, მეც იმასთან დამსაჯეთ!..

— ჩემს, გულკეთილობას ხომ ვერ უარს ჰყოფთ, რადგან, ხომ ხედავთ, თუმც დანაშაული აღიარეთ, ჯერ მაინც კიდევ თავისუფალი ხართ.

— გიმეორებთ, რომ მაგ პირობებით სიცოცხლე ჩემთვის სიკვდილზედ უარესია!..

— მაგ სიტყვებს მღელვარება გათქმევინებთ,—გააწყვეტინა ბარრამ, რომელზედაც, როგორც სჩანდა, საკმაოდ ემოქმედა ქალის სიტყვებს, თუმცა კი ამავ დროს ყოველის ღონის-ძიებით სცდილობდა არ გამოეჩინა მღელვარება: თქვენს წლოვანობაში არ არის ისეთი უბედურება, რომლის დავიწყება და გულიდგან გადაყრა არ შეიძლებოდეს, და ოდესმე, როდესაც თქვენი მწუხარება რამოდენადმე მიყუჩდება, მადლობას მეტყვით ამ გულ-კეთილობისათვის და ყოველისავე იმისთვის, რაც ახლა ჩემს გულში თქვენს სასარგებლოდ ჰლაპარაკობს, თუმცაკი თქვენ საშინლად მოატყუეთ და აუტანელი წამება მიაყენეთ!..

ჟოზეტტა უცებ წამოდგა ფეხზედ, თითქოს მოსწყინდა, მოიღალა ამოდენის ხნის ამაოდ ხვეწნა-მუდარით.

— რადგან თქვენი გული ვერ მოვალბე, ახლა მე ვიცი რაც დამრჩენია, წარმოსთქვა ჟოზეტტამ.

— რა გინდათ ჰქნათ?—სწრაფად ჰკითხა ყმაწვილ ქალს შეშფოთებულმა ბარრამ.

— სიკვდილის ჟამს მეც როლანდთან ვიქნები და მისს თვალწინ დავიღუპები. თქვენ ცუდად გიცვნივართ, ბარრა, თუ გგონიათ, რომ როდისმე გამოვიგლოვებ იმის დაკარგვას?

აღელვებულნი ერთ წუთს იდგნენ ისე გარუმებულნი ერთმანეთის წინ. ქალი მთლად დაემონა-დაემორჩილებინა ამ მოულოდნელს უბედურებას. თმა გაჰბურძგვნოდა და ურიგმარიგოდ ჩამოსწვეწოდა მხრებზედ, კაბა საშინლად დაჭმუჭნოდა, მოღალულ-მოქანცული ამაო ხვეწნავედრებით იგი ხმას არ იღებდა; ბარრაც არა ნაკლებ აღელვებულიყო, თუმცა-კი ყოველსავე გულის მოძრაობას ოსტატურად ჰმალავდა გულგრილობის ნიღაბ-ქვეშ, რაიც გაევარჯიშებინა რევოლიუციის დროს ამ გვარ შემთხვევებში ყოფნის გამო. მისს გულში ბრძოლა იყო აღძრული. ერთიორად გაცე, ხლებული ბელლიევრის წინააღმდეგ, მას საშინლად ჰსურდა ამ მეამბოხის მოკვლით, ერთის დაკვრით შეემუსრა თავისი პირადი მტერიც და ამასთან რესპუბლიკის მტერიც. მაგრამ მეორეს მხრივ, წარმოუდგენოდა თუ არა თვალ-წინ ჟოზეტტას გულ უბრყვილო იწუხარება გულში უჩვეულოდ სიბრალული ეპარებოდა და უნდოდა ეპატივებინა მტრისთვის და ყოველივე დავიწყებისათვის მიეცა. მეტოქის პატიების სურვილი წუთით წუთზედ ჰმატულობდა მისს გულში და თან და თან ამცირებდა, აქარწყლებდა მის წყრომას, რომელმაც პირველში ისეთი მუქარა წარმოათქმევინა. უცებ თითქოს რაღაც გარდასწყვიტა და დამშვიდებით დაიწყო:

— საშინელი შეცდომა იქნებოდა ჩემის მხრივ, რომ თქვენს სატრფოს სიცოცხლე მივანიჭო. თავისუფლად იგრძნობს თუ არა თავს, დარწმუნებული ვარ ისევ ძველს ხელობას მიჰყოფს ხელს; ის იმ თავადეულ ხალხს ეკუთვნის, რომელნიც თავისს დღეში იარაღს არ სდებენ ძირს!

იმის მომბალ კილოთი გაკვირვებული ჟოზეტტა გაშტერებული შეჰყურებდა და სცდილობდა მისს დაფარულს აზრს მიხვედრილიყო.

— მე ნება არა მაქვს აზნაურ ბელლიევრის მაგივრად ვილაპარაკო, ძლივს მოახერხა იმან, მაგრამ დარ-

*) იხ. „ივერია" № 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის შეკვრით. ქ. ბლუმფონტენს დაბანაკებულს ინგლისელების ჯარს სასმელი წყლის მოწყვეტით, რაღა თქმა უნდა, ისე გაუჭირდება საქმე, რომ იძულებული იქნება იქიდგან აიყაროს და ხსვა უკეთესი ადგილი მოსძებნოს.

გენერალ ჟუბერის გარდაცვალების შემდეგ ბურების მთავარსარდლად კრიუგერმა დაჰნიშნა გენერალი ბოტა. ეტყობა ეს გენერალი არ თანაუგრძნობს ჟუბერის ტაქტიკას და სულ სხვა გზას დაადგა, ვიდრე ჟუბერი ადგა. ჟუბერი ფრთხილად ჰმოქმედობდა, იერიშის მიტანას ერიდებოდა და სცდილობდა ინგლისელები სახიფათო ადგილას შეეტყუებინა და იქ დაემარცხებინა. ამ საომარს ხერხს მშვენიერი შედეგი ჰქონდა, ვიდრე ინგლისელები ჯარებს გაამრავლებდნენ და სარდლად რობერტსს დანიშნავდნენ. რობერტსის მისვლის შემდეგ ინგლისელებს ბედმა გაუღიმა, მაგრამ ამ ჟამად, როცა ბოტამ დაიჭირა ჟუბერის ადგილი, ბედის სასწორი ისევ ბურებისკენ გადიხარა. ბოტა და მასთან ერთად დევეტი, ოლივიე დიდს მხნეობას იჩენენ, ინგლისების პატარ-პატარა რაზმებს თავს ესხმიან და ამარცხებენ. ბურების სამი გენერალი სცდილობენ აღმოსავლეთით მოუარონ რობერტს, გზა მოუჭრან და ამ გვარად მოსწყვიტონ სრულიად ინგლისის უმთავრესს ახალშენებს, საიდგანაც სურსათი და მაშველი ჯარი მოსდით. თუ ეს მოახერხეს ბურებმა, მაშინ რობერტსაც ის დაემართება, რაც დაემართა გენერალ. უაიტს, ოთხი თვე რომ დამწყვდეული იჯდა ლედი-სმიტში. უაიტი დაიხსნა რობერტსმა, რომელსაც 200,000 ჯარი ჰყავდა, მაგრამ რობერტს ვიღა დაიხსნის? ინგლისს აღარ შეუძლიან ისე მალე გაგზავნოს ევროპიდგან მაშველი ჯარი, როგორც წინად მოახერხა, იმისათვის რომ თვით მეტროპოლიაში აღარ ეგულება ჯარები.

უსამართლოდ დაწყებული ომი ასე სახელს უტეხავს ინგლისსა და ლამის ხელი აალებინოს ათას წლობით, დიდის შრომითა და მეცადინეობით მოპოვებულს დიდებაზედ.

ა. ფრონელი.

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო სტატსკი სოვეტნიკობა: ჯებრაილის მაზრის უფროსს თავ. ანდრონიკაშვილს, სენაკის მაზრის მკურნალს კახიანს; ნადვორნი სოვეტნიკობა: დუშეთის მაზრის მომრიგებელ შუამავალს—თავ. ერისთავს, გორის მაზრის მკურნალს—ცისკარაშვილს, ზუგდიდის მაზრის მკურნალს—გელოვანს, ნაქალაქევის ნაწილის ბოქაულს—ახვლედიანს და აბაშის ნაწილის ბოქაულს—თოფურიძეს; კოლეჟსკი ასესორობა: ტფილის-ბორჩალოს მომრიგებელ შუამავალს—თავ. ჩოლოყაშვილს, ართვინის ოლქის მკურნალს გოცირიძეს, ბაქოს საქალაქო მკურნალს—ელიაშვილს, თიანეთის მაზრის ერწოს ნაწილის ბოქაულს თავ. ბარათაშვილს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა: ზუგდიდის სამაზრო გამგეობის საქმის-მწარმოებელს—კედიას, ტფილისის სამაზრო გამგეობის საქმის-მწარმოებელს — ინდოშვილს; კოლეჟსკი სეკრეტრობა: შორაპნის მაზრის მე-2 ნაწილის მომრიგებელ შუამავლის თანამდებობის აღმასრულებელს—თავ. დადეშქელიანს, სენაკის სამაზრო გამგეობის შტატს გარეშე მოხელეს—შერვაშიძეს, სიღნაღის სამაზრო გამგეობის მდივანს—ბაქრაძეს, გუბერნსკი სეკრეტრობა: ქუთაისის საგუბერნიო სამართველოს კანცელარიის მოხელეს—ქებალიანს, სენაკის სამაზრო გამგეობის მოხელეს—გაბუნიას, ახალ-ბაიაზეთის ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს—დავითაიას; კოლეჟსკი რეგისტრატორობა ქუთაისის საგუბერნიო სამართველოს კანცელარიის მოხელეს—ჩიქოვანს, ზუგდიდის მაზრის ფერშალს კეკემიძეს და სამაზრო გამგეობის კანცელარიის მოხელეს ტფილისისა ესაძეს და ბორჩალოსი—ფანიაშვილს.

დამტკიცებულ იქმნენ: კოლეჟსკი ასესორობის ხარისხში: მაზრის მკურნალნი: ჯებრაილისა ზურაბიშვილი, ლეჩხუმისა ჯინორიძე, სასოფლო მკურნალნი: სენაკის მაზრისა—ხოფერია, რაჭის მაზრისა ნადირაძე, ტფილისის მაზრისა—ბარამიშვილი და თიონეთის მაზრის მკურნალის თანამდებობის აღმასრულებელი ჯავახიშვილი.

## ახალი ამბავი

—

*** ხელმწიფე იმპერატორმა კვლავ კეთილ ინება და ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა ცხოვრების შესამსუბუქებლად ჰბრძანა: დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან უვადოდ ამ მაზრიდგან გაყვანილნი ჯარის-კაცნი: 36 ჯარის-კაცი მე-77 ტენგინის რაზმისა, 54 კაცი მე-78 ნავაგინისა, 2 კაცი მე-263 ახალ-ბაიაზეთის სათადარიგო რაზმისა და ერთი მე-4 მსროლელთა ბატალიონისა. ზოგი ამ ჯარის-კაცთაგანი უკვე დაბრუნდა თავისს სახლში. მათმა მოსვლამ დიდი სიხარული გამოიწვია მცხოვრებელთა შორის და სთხოვეს ახალ-ქალაქის მაზრის უფროსს, რომ ამ წყალობისათვის მის იმპერატორებითს უდიდებულესობას განუცხადოს ახალქალაქელთა განუსაზღვრელი მადლობა და ერთგული ქვეშევრდომული გრძნობანი.

*** როგორც ვუწყით, ქალაქის გამგეობას სხვათა შორის, ბ-ნმა არზუმანოვმაც წარუდგინა პირობები ფუნიკულერის გამართვის შესახებ და თუმცა მისი წინადადება ქალაქისთვის უფრო ხელ-მისაცემი იყო, ვიდრე რობისა, ქალაქის გამგეობა იძულებულ იქმნა არზუმანოვისთვის უარი ეთქვა, რადგანაც ამ შემთხვევაში უსამართლობა იქნებოდა არზუმანოვთან ერთად სხვებისთვისაც არ მიეცათ ნება ფუნიკულერის გამართვის კონკურსში მონაწილეობის მიღებისა და ეს-კი შეუძლებელია, რადგანაც ადგილი, რომელზედაც ფუნიკულერი უნდა გაიმართოს ქალაქს-კი არ ეკუთვნის, არამედ ეკუთვნის ბ-ნ გაბაევს, რომლისგანაც რობის იგი უკვე შეუსყიდნია.

*** კავკასიის მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ თავ-შესაფარისა და ახალშენთა საზოგადოების გამგეობა წელს უფრო განსაკუთრებით შესდგომია ავჭალის ახალშენში მეურნეობა-მებაღეობის მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის შესწავლის საქმეს. როგორც მკითხველებმაც უწყიან, ამ ახალშენში თავიდგანვე გამგეობას ჰყავს მცოდნე მეურნე-მებაღე, რომელმაც მოსწავლე ბავშვებთან ერთად ხელოვნურად შეამზადა ნიადაგი ახალშენის კარგა მოზრდილის საბაღე ადგილისა. ამ მცირე ხნის მიუხედავად სხვა-და-სხვა ხეხილების ნერგები კარგად არის წამოსული, მაგრამ რადგანაც არსაიდგან სარწყავი წყალი ბაღს არ უდგებოდა, განსაკუთრებით სიცხეებში ნაკეთობას თავისებური სიცოცხლის ელფერი ეკარგებოდა. საზოგადოების გამგეობას ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია და წელს კიდეც შესდგომია მტკვრიდგან ახალშენში წყლის მილის გამოყვანას, რაც საზოგადოებას 8000 მან. უჯდება თურმე.

*** ქალაქის გამგეობამ უკვე შეადგინა სია იმ ახალგაზდა კაცთა, რომელნიც 1878 წლის პირველ ოქტომბრიდგან 1879 წლის პირველ ოქტომბრამდე არიან დაბადებულნი და რომელთაც მომავალ წელში უნდა ამოიღონ კენჭი ჯარში გასასვლელად. ამ სიას პირველ აპრილიდგან ქალაქის საბჭოში გამოჰკიდებენ და ყველა იმათ, რომელთა სახელი და გვარიც გამოშვებული იქნება ამ სიიდგან, ორის კვირის განმავლობაში შეუძლიანთ ეს ამბავი აუწყონ ქალაქის გამგეობას.

*** ტფილისის ნაფიც ვექილს ბ-ნს ალექსანდრე ყარაბეგოვს ოლქის სასამართლომ აღუკრძალა ექვსის თვის განმავლობაში სავექილო საქმეების დაცვა. მიზეზი ამისა ყოფილა ის გარემოება, რომ სააპელაციო საჩივარში ყარაბეგოვს სასამართლოს მიმართ საკიცხავი სიტყვები ჩაურთავს.

*** სამოსამართლო პალატის საზოგადო საკრებულოში 1 აპრილს გაირჩევა საჩივარი ნაფიცის ვექილის როხლინისა, რომელსაც ოლქის სასამართლომ აღუკრძალა ერთის წლის განმავლობაში საქმეების წარმოება.

*** ოთხშაბათს, 29 მარტს, სანიტარო-სამკურნალო საბჭოს ჰქონდა კრება. კრებამ განიხილა წარსულის წლის ანგარიში. შემდეგ ლაპარაკი აღიძრა იმ საღებავ წამალთა შესახებ, რომლებიც ქიმიურად იქმნა გასინჯული ქალაქის ლაბორატორიაში. ამ საღებავებს კვერცხების შესაღებად და პასკების დასაფერად ჰხმარობენ, გამოკვლევამ-კი აღმოაჩინა, რომ ამ საღებავ წამლებში ლითონის შხამი რეულა. ამიტომ კრებამ დაავალა ქალაქის მკურნალებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და არ მისცენ ნება ვაჭრებს ასეთის საღებავების გაყიდვისა.

*** კავკასიის უმაღლესს მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე,

---

წმუნებული ვარ, რომ თუ აპატიეთ და განათავისუფლეთ, თავის დღეში არ დაიწყებს ამას. ამასთან ჩავთვლი ჩემს მოვალეობად მოვაგონო ხოლმე ეს ყოველთვის და ამით ავაცილო შემდეგში ახალ შეთქმულებათა დაწყება.

— მაგისათვის საჭიროა, რომ ყოველთვის გვერდით ჰყავდეთ.

— გარდაწყვეტილი გვაქვს არას დროს არ განვშორდეთ ერთმანეთს!

— თუ აგრეა საზღვარ-გარეთ უნდა გაჰყვეთ, უნდა მიატოვოთ სარბიელი, რომელზედაც მერმისში მოგელით სიმდიდრე, დიდება!

— რას ნიშნავს ყოველივე ეგ იმის სახელის ტარებასთან შედარებით! არაფერს. არა, მე ყოველგან გავყვები, სადაც-კი ის მოისურვებს.

ეს სიტყვები ისეთის გრძნობით სავსე ხმით იყო წარმოთქმული, რომ ბარრა უნებურად მოლბა.

— როგორ გყვარებიათ, ჟოზეტტა!—ამოოხვრით წარმოსთქვა იმან.—ბედნიერი, მშურს იმისი ბედნიერება!..

მხოლოდ ახლა მიხვდა ჟოზეტტა, რას ჰნიშნავდა ბარრას სიტყვები. სწრაფად მიიწია იმისკენ და აღელვებული ვედრებით შეეკითხა:

— განა გსურთ სიცოცხლე მიანიჭოთ?

— დიახ, და არავითარს პირობებს არ ვითხოვ,—მიუგო ბარრამ.

ჟოზეტტა გულ-ხელ-დაკრეფილი იდგა გაშტერებული და მეტის მღელვარებისაგან ერთი სამადლობელი სიტყვაც-კი ვერ მოეხერხებინა.

წუთს შემდეგ ბარრა გავიდა გარეთ და გაიხურა კარი; დაუძახა პოლიციელთა რაზმის უფროსს და რაღაც უბრძანა. შემდეგ გამობრუნდა და ოთახში შევიდა. ჟოზეტტას რაღაც უნდოდა დაეწყო, მაგრამ მსწრაფად გააწყვეტინა:

— მომითმინეთ ცოტა და ჰნახავთ, ბარრა როგორ იძიებს შურს!

ჟოზეტტას ხმა არ ამოუღია, იგი სრულს სასოწარკვეთილებასა და იმედს შუა იყო. დაღალულ-დაქანცული ოდნავ დაეყრდნო მაგიდას, რომელზედაც ჯერ კიდევ ეღაგა ასე უცბათ შეწყვეტილი, აულაგებელი ვახშამი.

არ გაუვლია დიდ ხანს, რომ გაიღო კარები და ოთახში შემოვიდა პოლიციელთ რაზმის უფროსი, მაგრამ მარტო არ იყო, წინ მოუდიოდა როლანდ დე ბელლიევრი; ყმაწვილ კაცს ხელები უწინდელებრ უკანა ჰქონდა გაკრული და პირშიც ხელსახოცი ეჩარა. თავ-მაღლა აღებული, ამპარტავნულის გამომეტყველებით ის წუთს შემდეგ გაჩერდა ბარრას წინ, რამდენისამე ნაბიჯის მანძილზედ და ზიზღით აავლ-ჩაავლო თვალი. ბარრა, თითქოს არ შეუმჩნევიაო ეა, მიუბრუნდა პოლიციელს და ხმამაღლა უბრძანა:

— განათავისუფლეთ დაპატიმრებული!..

განცვიფრებულმა პოლიციელმა სწრაფად აღასრულა ბრძანება.

— დაბრუნდით ახლა პარიჟში თქვენის ხელქვეითებით და ცხენოსანის რაზმით.

— ეს კაცი საშინელი დამნაშავეა,—ჰბუტბუტებდა გონება-დაბნეული პოლიციელი: მოქალაქე ბარრა, აკი თვით თქვენც აღვიარეთ ეს!

— ჩემი სიტყვები უნდა დაივიწყოთ. წინად შემცდარი ცნობები მომივიდა მაგის შესახებ. გარდაეცით ჩემი უგულითადესი მადლობა ბ-ნს მინისტრს, მაგრამ უთხარით ამასთან, რომ ამ შემთხვევაში სამსახურის ერთგულებამ მეტად გადააჭარბებინა. წადით ახლა!

პოლიციელმა თავის დაკვრით უკან დაიწია, საშინლად გაშტერებული იმ მოულოდნელის დასასრულით, რომლითაც დამთავრდა ეს ამბავი; მას ვერა მოესაზრებინა-რა. წუთს უკან გავიდა.

შემდეგ ბარრა მიუბრუნდა ბელლიევრს და თავაზიანობის ზრდილობით უთხრა:

— თავისუფალი ხართ, პატიოსანო რაინდო! თქვენ რამდენჯერმე შეადგინეთ შეთქმულობა მთავრობის წინააღმდეგ და საშინელი სასჯელი დაიმსახურეთ, მაგრამ ამისდა მიუხედავად გაპატიეთ ყოველივე მარსენის გულისთვის. ნუ დაივიწყებთ გადაუხადოთ მადლობა, რადგან ამის და მხოლოდ ამის წყალობით მოგენიჭათ სიცოცხლე.

— გმადლობთ, გმადლობთ! შეჰყვირა გულ-ამომჯდარმა ჟოზეტტამ და თან სიხარულის ცრემლებს აფრქვევდა.

როლანდი იდგა უძრავად, თითქმის დამშვიდებული და გაუგებრად შეჰყურებდა ხან ყმაწვილს ქალს და ხან ბარრას, რომელიც, თითქოს სულ უბრალო რამ მომხდარაო, წასასვლელად ემზადებოდა. მოხდენილის მოძრაობით მოიგდო მხრებზედ წამოსასხამი დირექტორიის მმართველმა, აიღო ხელში ჯოხი და ქუდი, მივიდა ჟოზეტტასთან და გამოთხოვებისას ხელზედ აკოცა.

შემდეგ გამობრუნდა და გაემართა კარებისაკენ, მაგრამ როდესაც დაუპირდაპირდა როლანდს, ერთს წუთს შესდგა და უთხრა:

— კიდევ ერთი სიტყვა, მოწყალეო ხელმწიფევ! თუ დამერწმუნებით და დაუჯერებთ ჩემს სიტყვას, არ გირჩევთ აქ დიდხანს გაჩერებას. არავითარს ჩემს გავლენას არ ძალუძს შეაყენოს პოლიციელნი, რომელნიც უეჭველად დაბრუნდებიან უკან, რომ ერთხელ ხელიდგან დაცდენილი მსხვერპლი კვლავ შეიპყრონ. ჩემის ფიქრით, კარგს იზამთ, განთიადისას გაიქცეთ აქედგან, რადგან მარტო საზღვარ-გარედ იქმნებით უშიშრად. მარსენსაც შეეძლება გამოგყვეთ თან.

— ჩემი თანაზიარნიც თავისუფალნი არიან?—ცივად ჰკითხა როლანდმა.

— ისევე, როგორც თქვენ. მშვიდობით, როლანდ დე-ბელლიევრ! იყავით ბედნიერ მარსენ!

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. მაგრამ როლანდმა სწრაფად გაიწია მისკენ და გრძნობით უთხრა:

— ნუ გგონიათ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ არა ვგრძნობდე სავსებით თქვენის მოქმედების პატიოსნებას. ყოველსავეს ვაცნობებ მეფეს და თქვენც ღირსეულად იქმნებით დაჯილდოებული, როდესაც მეფე უკან დაიბრუნებს თავისს ტახტს.

ბარრას ხმა არ გაუცია, ისე გავიდა და გაიხურა კარი...

მარტო დარჩენილი როლანდი მიუახლოვდა ჟოზეტტას:

— რა ფასით იყიდე ჩემი თავისუფლება? გულისცემით ჰკითხა მან.

— მარტო ხვეწნა-მუდარით, გეფიცები, როლანდ, გეფიცები ჩვენს სიყვარულს!

იმდენად გულ-საკლავი ნდობით სავსე იყო ჟოზეტტას ფიცი, რომ როლანდმა იგრძნო, რომ ის მართალს ეუბნებოდა, და გულ-მხურვალედ ჩაიკრა გულში.

ერთის კვირის შემდეგ ისინი უკვე ინგლისში იყვნენ.

ამ გვარად, საფრანგეთის თეატრმა, რესპუბლიკის დროისამ, დაჰკარგა ერთი უბრწყინვალესი ვარსკვლავი და ბელლიევრის გვარეულობის შთამომავლობას კი მოაგონდება თავის წინაპრებში ერთი გამოჩენილი მსახიობ-ქალთაგანი.

ა. წინამძღვარიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ქალაქ ქუთაისს მიეცეს ჯარების სადგურებისათვის სამის წლის განმავლობაში (1901 წ.—1903 წლამდე) 13,000 მანეთი დახმარებად.

** მიწად-მოქმედების დეპარტამენტს ნება დაურთავს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისათვის გამოიწეროს საზღვარ-გარეთიდგან 20 ათასი ამერიკულ ვაზის ახალი ჯიშის ნერგი, ალაიანის სანერგეში დასარგველად.

** ტფილისის საგუბერნიო მთავრობამ საყოველთაო მიწერილობით წინადადება მისცა მაზრის უფროსებს შეადგინონ სანიტარული კომისიები და სუფთაობა დაიცვან დაბა-სოფლად.

** ტფილისის საგუბერნიო მმართველობის საზოგადო საკრებულომ სამის წლის ვადით გასაწერ საადგილმამულო გადასახადის შედგენის დროს აღძრა შემდეგი ფრიად საყურადღებო კითხვები: დაედებათ თუ არა საადგილ-მამულო გარდასახადი იმ მიწებს, რომელნიც ერთ დესეტინაზე ნაკლებია და აგრეთვე იმ საძოვარ სანახირო მინდვრებს, რომელიც ტფილისის გუბერნიის მაჰმადიანთა მიერ დასახლებულ ადგილებშია და მცხოვრებლებს საზოგადო სახმარებლად აქვთ მიცემული, რა წესით შეეწერება საადგილ-მამულო გადასახადი ყარაიაზში იმ მიწებს, რომელიც ხაზინამ კერძო კაცებს მისცა სამუდამო სახმარებლად.

** ტფილისის გუბერნიაში საქონლის ჭირი დღეს მხოლოდ სიღნაღის მაზრაში-ღა არის. აქ პირველად გაჩნდა ქვემო-მაჩხაანის კალოებზედ—ყარღაჩში და აქედგან სხვა სოფლებსაც მოედო.

** მოახლოვდა აღდგომა და დადგა ქალაქის ჩარჩების დორანიც. სოფლელებს, რომელთაც ჩამოჰყავთ ტფილისში გასასყიდად ბატკანი, ჩამოაქვთ კვერცხი და სხვანი, ისინი თითქმის ხელიდგან სტაცებენ, ჰყიდულობენ ნახევარ ფასად და შემდეგ ერთი ორად ჰყიდიან ქალაქის მცხოვრებლებზედ. მაგალითად, კვერცხს თვითონ ჩარჩები სოფლელებისაგან 100 მანეთად, მანეთად და 30 კ. ჰყიდულობენ და თითონ-კი ჰყიდიან ორ მანეთად და ორ აბაზად. საჭიროა ამას ეხლავე მიექცეს ყურადღება.

** როგორც გაზ. „Новости" იუწყება, მომავალ თვეში პარიჟის გამოფენაზედ გაგზავნილ იქნებიან კავკასიიდგან ქართლ-კახელები, თუშები, ლეკები, ოსები და სხვანი, ეროვნულ ტანისამოსით, სამუშაო იარაღითა და საშინაო ავეჯეულობით. გამოფენაზედ გაგზავნიან აგრეთვე ჩვენებურ სოფლების მოდელებსაც.

** როგორც გაზ. „Сѣв. Кур."-ი იუწყება ბრიუსელში შემდგარა მეაქციეთა საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს კასპის ზღვაზედ გამართოს ხალხის სასიარულო და საქონლის გადასატანი გემები.

** ს. ანაგა, (სიღნაღის მაზრა). 26 მარტს აქ დიდი უბედურება დატრიალდა. ამ სოფლის მცხოვრებნი გლეხნი, რიცხვით 40 კაცი, ჭიაურიდგან სოფელში მიდიოდნენ. ალაზანზედ გადმოსასვლელად ბორანზედ დამსხდარიყვნენ ყველანი ერთად და ბორანზედვე დაეწყოთ ვენახის სარები. შესულიყო თუ არა ბორანი შუა ალაზანში, სიმძიმისათვის ვეღარ გაუძლო და წყალს დაეძირა. ზედ მსხდომნი ზოგნი წყალში გადაცვივნულიყვნენ და ცურვით გასულიყვნენ მეორე ნაპირს, ზოგიც ბორნის თოკს მოსჭიდებოდნენ და გადარჩენილან უბედურებას, მაგრამ ხუთი კაცი მაინც იმსხვერპლა თურმე წყალმა.

** დიდი-ჯიხაიში. ჩვენში სამიკიტნოები ძლიერ გამრავლდა, უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი ახალგაზდობა ამ სამიკიტნოებში დილიდგან საღამომდის დროს ქაღალდის თამაშობაში ატარებს.

** ს. უჩხუბი, (ოზურგეთის მაზრა). ამ ორის თვის წინად აქაურმა სოფლის საზოგადოებამ მისს ყოვლად უსამღვდელოესობის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს წინადადებით გადასწყვიტა ახლანდელ წმიდა სტეფანესის ეკკლესიის ადგილას აეშენოს ქვითკირის ეკკლესია, მაგრამ ამ საქმის აღსასრულებლად ამორჩეულ კომიტეტს რამდენმამე კაცმა ხელი შეუშალა და იმის მაგიერ, რომ საქმეს შესდგომოდნენ, დღეს საჩივრებია გამართული, რადგანაც საზოგადოება ვერ მორიგებულა ერთმანეთში იმის შესახებ, თუ სად იქმნას აშენებული ეკკლესია.

** 1 აპრილს კრება ექმნება კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებას და რუსეთის საიმპერატორო კავკასიის საბაღოსნო განყოფილების საზოგადოებას.

** 28 მარტს პოლიციის მე 10 ნაწილის ბოქაულმა შეიპყრო ავლაბარში კატორგიდამ გამოქცეული კაცის მკვლელი იაგორ სააკოვი.

## წერილი კავკავიდგან.

კვირას, 26 მარტს, ადგილობრივი ქართული სცენის მოყვარეთ კავკავის ქართულ სასწავლებლის სასარგებლოდ წარმოადგინეს გ. გუნიას ხუთ-მოქმედებიანი დრამა „და-ძმა". წარმოდგენას, ეროვნების განურჩევლად, ბევრი ხალხი დაესწრო; თავისუფალი ადგილი თეატრში თითქმის სრულიად არ მოიპოვებოდა. სრული შემოსავალი თეატრიდგან აღემატება ექვსას მანეთს; ხარჯს გარდა, კი, როგორც ანგარიშობენ, წმიდა შემოსავალი დარჩება სკოლის სასარგებლოდ ოთხას მანეთზე მეტი.

ამასთან სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ წარმოდგენამ საზოგადოდ ჩინებულად ჩაიარა; სცენის მოყვარენი ისეთის ხელოვნებით თამაშობდნენ სცენაზედ, რომ მაყურებლები დიდს აღტაცებაში მოჰყავდათ. ჯერ კავკავის სცენაზედ ქართულად დრამები და სხვა სერიოზული პიესები არ წარმოუდგენიათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ სცენებს „სამშობლოდგან", რომელიც წარმოადგინეს აქ ამ რამდენიმე წლის წინად ქ-ნმა ავალიშვილმა, ბ-ნმა მესხიშვილმა და შათირიშვილმა და სხვ. წელიწადში ერთხელ აქ აქაური სცენის მოყვარენი უფრო ხშირად არდგენენ ცაგარლის კომედიებს. წელს, როცა პირველად გაისმა ხმა აქაურს საზოგადოებაში, რომ სცენის მოყვარენი დრამასა სდგამენო, ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა ამ განზრახვას, რთულის პიესების წარმოდგენას სცენის მოყვარენი ვერ შესძლებენო და ზოგმა ამისა თუ სხვა მიზეზების გამო უარიც განაცხადა მონაწილეობის მიღებისა. მაინც ბ-ნის პ. გოთუას ბეჯითის მეცადინეობით დანარჩენთ ერთგულად მოჰკიდეს ხელი და სულ ორ სამ კვირაში ისე კარგად შეითვისეს თავიანთი როლები, რომ ბევრი მათგანი რამდენისამე ხნის გაწვრთნილ მსახიობებსავით წარმოგვიდგებოდნენ.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი ელ. გვარამაძისა (მარინე), ქ-ნი ალ. ხახიაშვილი (გადია), ბ-ნი ბ. ბაგრატიძე (ოტია), ნიკო კურდღელაშვილი (გაიოზ), თომა სარაჯიშვილი (ფაშა), ივ. ჩითაშვილი (ადამია), პ. მეფურნიშვილი, ჩიკვაიძე ხიზანიშვილი და ბარახოსტაშვილი. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ქ-ნი გვარამაძისა, ბ-ნი ბაგრატიძე და ნიკო კურდღელაშვილი, ქ-ნი ხახიაშვილი და სარაჯიშვილი ისეთს მაღალს წარმოადგენენ ქართულის სცენისათვის და ისეთს უნარს იჩენენ სცენის საქმეში, რომ მათ შეუძლიან თამამად გამოვიდნენ უფრო სერიოზულ როლებშიაც. სასცენო ტანისამოსი პიესისათვის დაბარებული იქმნა ტფილისიდგან, მაგრამ რადგანაც ტფილისიდგან უარი შემოთვალეს, ამიტომ იძულებულნი გახდნენ, ზოგიერთი ტანისამოსები აქვე შეეკერებინებინათ. პიესის შესწავლის დროს რეჟისორობის მოვალეობა და წარმოდგენის დროს სცენარიუსობა იკისრა თავადმა იასონ მერაბის მე ლორთქიფანიძემ, რომელმაც დიდი შრომა და ჯაფა გასწია და რომელიც არის, სხვათა შორის, ერთი თავი მიზეზი წარმოდგენის ასე ჩინებულად ჩატარებისა. ეს წარმოდგენა გვაძლევს საბუთს იმისას, რომ ადვილად შესაძლებელია კავკავში ქართული წარმოდგენები უფრო ხშირად იმართებოდეს.

კახაბერი

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ვერაფრად მოუხდა რობერტს ორანჟის სატახტო ქალაქ ბლუმფონტენში დაბანაკება. რაც დრო და ხანი გადის, მით უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდება მთავარ სარდალი ინგლისის ჯარისა. ბურები აღარა ხუმრობენ, ლამის არის რობერტსი თავის 50,000 ჯარის-კაცით ბლუმფონტენში მიიმწყვდიონ და ალყა შემოარტყან. აი რას ატყობინებენ „Cent. News"-ს ბლუმფონტენიდგან: „ეჭვი არ არის, რომ მტერს ბევრი ჯარი მოუშველა ორანჟისა და ტრანსვაალის სხვა-და-სხვა კუთხიდგან. ბურები აღარ იმალიან და გარემო უპირობენ შემოხვევას რობერტსის ჯარს. რობერტსმა უკვე მიიღო შესაფერი ზომები". აქედგანვე „Daily Mail" ატყობინებენ: „ომის დაწყებიდგან დღემდე ბურებს არც ერთხელ არ გამოუჩენიათ იმდენი მხნეობა და მეცადინეობა, რამდენსაც ეხლა ბლუმფონტენთან იჩენენ. იქ მათ დიდ ძალ ჯარს მოუყარეს თავი და როგორც ეტყობა, ალყის შემორტყმას უპირობენ ბლუმფონტენს. ნაწილი ბურების ჯარისა მდ. მოდდერს გადავიდა და ეხლა ბლუმფონტენის აღმოსავლეთით სდგას. რობერტსსა და საზოგადოდ ინგლისელებს უფრო ის აფიქრიანებს, რომ ბურებმა ბლუმფონტენიდგან კაპშტადტში მიმავალი რკინის გზა არ ჩაიგდონ ხელთ და ამ რიგად რობერტსი მოსწყვიტონ იმ ადგილებს, საიდგანაც სურსათი და საჭირო საომარი მასალა უნდა მიიღოს. როგორც სჩანს, ბურები ადვილად იტყობენ ყველა იმას, რაც ბლუმფონტენში ხდება. ლორდმა რობერტსმა უკვე მოახდინა განკარგულება, შეიპყრონ საეჭვო მოქალაქენი; ჰფიქრობენ, რომ ისინი ატყობინებენ ყველაფერს ბურებს. ამასთან რობერტსმა ბრძანება გასცა საღამოს რვა საათის შემდეგ აღარც ერთ ბლუმფონტენში მცხოვრებ ბურს აღარ შეეძლოს ქუჩაში გავლა. მალიან აღონებს ინგლისელებს ისიც, რომ ბურებმა წყლის მილი ჩაიგდეს ხელთ და ინგლისელებს წყალს აღარ აძლევენ. ქალაქში ეხლავე უჩივიან უწყლობას.

— ამას წინად დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ ინგლისელებმა დაამარცხეს გენერალი ვილბუა მარეილი და მთელი იმის ჯარი დაატყვევესო. ბევრი ამ დეპეშის წაკითხვის დროს იმასა ჰფიქრობდა, რომ ვილბუას სულ ცოტა 1000 კაცი მაინც ეყოლებოდაო. მაგრამ ეხლა იუწყებიან, რომ ამ გენერალს სულ 70 კაცი ჰყავდაო და ისიც „ჯარი" დაუმარცხებიათ ინგლისელებს და წაუყვანიათ ტყვედ. დაამარცხა ვილბუა ლორდმა მეტუენმა, რომლის ჯარიც 6—7 ათას კაცს აღემატებოდა თურმე. სამწუხარო აქ თვით გენერალის ვილბუა მარეილის სიკვდილია. ვილბუა ფრანგი იყო, საფრანგეთის ჯარში მსახურობდა საგენერალო შტაბის ასეცრად. ომის დაწყებისას ტრანსვაალში წავიდა და იქ კრიუგერმა ბურების ჯარის მთავარ შტაბის უფროსად დანიშნა. ვილბუა მამაცი და გამოცდილი გენერალი იყო, ამიტომ იმისმა სიკვდილმა ძალიან დაალონა თურმე ბურები.

— ჰოლანდიელი მღვდელი დე-ვლეისი, რომელიც ამ ჟამად ტრანსვაალშია, ასე აღწერს იქაურს სოფლის ცხოვრებას: „ფერმებს ეხლა დედა-კაცები განაგებენ. ქალები და 12, 13, 14 წლის ბავშვები გულ-მოდგინეთ ჰშველიან მათ ყველა საქმეში. წელს ძალიან კარგი მოსავალი იყო, ამიტომ დედა-კაცებს ბევრი საქმე გამოუჩნდათ. მინდორში მამა-კაცს ვერ დაინახავდით, ყველგან დედა-კაცები და ბავშვები მკიდნენ ყანებს. ლეწვა უკვე გაათავეს და მალე ცხვრების პარსვას მიჰყოფენ ხელს, შემდეგ კიდევ ხვნასა და თესვას. სოფლებში სრული მშვიდობიანობაა. ზოგიერთი სკოლები დახურულია, რადგანაც ბავშვებს შინ ბევრი საქმე აქვთ და სასკოლოდ არა სცალიანთ. კვირაობით ეკკლესიებში მარტო დედა-კაცებს თუ შეხვდებით".

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკული გაზეთები ძალიან ბევრს სწერენ ამ ჟამად ერთის პატარა სამის წლის მოგზაურის ელენე ფრანსისის შესახებ. ეს ბავშვი მარტოდ მარტო წასულა ნიუ-იორკიდგან ოკლაგამში. დედა ქალს აქ რამდენისამე კვირის წინად მოჰკვდომია. მამას გადაუწყვეტია ბავშვის ოკლაგამში გაგზავნა პაპასთან. რადგან თვითონ არ ეცალა, წაუყვანია ბავშვი რკინის გზის სადგურზედ, ჩაუსვამს ვაგონში და შემდეგ განცხადებები მიუკრავს წინიდამ ტანისამოსზედ ერთ მხარეს: „მე ელენე ფრანსისი მქვიან, ოკლაგამში მივდივარ პაპასთან, რომელიც სტროუტის ქუჩაზედ სცხოვრობს"; მეორეზედ კიდევ: „ვთხოვთ კონდუქტორებს და მგზავრებს ამ ბავშვს კარგად მოექცნენ". გზაში ყველანი თავს ევლებოდნენ თურმე პატარა ელენეს. ბავშვიც არავის ერიდებოდა და მხიარულად ეტიკტიკებოდა ყველას. პაპასთან ელენე მშვიდობიანად ჩასულა.

***

ამას წინად მანჩესტერსა და გლაზგოვში (ინგლისში) შესდგა ახალი, უზარმაზარი სინდიკატი (მწარმოებელთა ამხანაგობა). ამ სინდიკატის წევრებად 46 მდიდარი მწარმოებელია. უმთავრესად სინდიკატს ბამბეულისა და ქაღალდის მკეთებელი ქარხნები აქვს. ძირის თანხად სინდიკატმა 192 მილიონი ფრანკი გადასდო. სინდიკატმა 6 მილიონი აქცია და 3,2 მილიონი ობლიგაცია გამოუშვა. თითო აქცია 10 მანეთადა ჰღირს. სინდიკატს ჯერ-ჯერობით 830 მანქანა აქვს. მარტო ამ მანქანების შემწეობით შეუძლიან წელიწადში 261 მილიონი ფრანკის საქონელი მოამზადოს. სინდიკატმა უკვე მრავალი წვრილი მწარმოებელი გააკოტრა ინგლისში.

***

ამერიკის შტატ კონნეკტუტში ადგილობრივ მთავრობას გადაუწყვეტია გამოსცეს კანონი კოცნის წინააღმდეგ. კოცნა მავნებლად უცვნია მთავრობას და ეხლა განუზრახავს სრულიად აღკრძალოს იგი ქუჩებსა, კლუბებსა და საზოგადოდ იქ, სადაც ხალხი იკრიბება. კანონი უკვე შეუმუშავებიათ. ამ კანონის ძალით დამნაშავე მათრახით ისჯება: მამაკაცისთვის 40 დარტყმაა გადაწყვეტილი, დედაკაცისთვის კიდევ—30. ამ კანონის გამოცემის მიზეზი ნიუ-გოველის სტუდენტები ყოფილან. უცნაური ჩვეულება ჰქონიათ თურმე ამ სტუდენტებს: ქუჩაში ახალგაზდა ქალს ისე არ შეეძლო გავლა, რომ სტუდენტს ხელი არ ეტაცნა და კოცნა არ დაეწყო. მოქალაქეებმა ბევრჯელ მიჰმართეს მთავრობას და სთხოვეს, აუკრძალეთ სტუდენტებს ასეთი თავისუფლებაო და მთავრობამაც ამ ახალ კანონს მიჰმართა.

***

როგორც თითქმის ყოველთვის წელსაც ეწვია შიმშილობა ინდოეთს. ამ მხრივ ინდოეთისთანა უბედური ქვეყანა არსად არ არის. ძნელად ჩაივლის ისე წელიწადი, რომ ინდოეთის რომელსამე კუთხეს არ ეწვიოს ეს მეტად ხშირი სტუმარი. სხვა დროს ინგლისში ბევრ ფულსა ჰკრეფენ დამშეულთა სასარგებლოდ და ასე თუ ისე დახმარებას უწევენ ულუკმა-პუროდ დარჩენილთ, მაგრამ წელს სამხრეთ აფრიკის ომმა აღარ მოაცალა ინგლისელები ინდოეთისთვის. აი რასა სწერს დამშეულთა შესახებ ერთი ინგლისელი მანდილოსანი, რომელიც ამ ჟამად ინდოეთშია: „ხალხი თან-და-თან უფრო გაჭირვებაში ვარდება. გვალვამ ყველაფერი გადასწვა; ხვნაც-კი შეუძლებელი ხდება ისე გამხმარია მიწა. სოფლის მცხოვრებთ კარგა ხანია აღარაფერი უჭამიათ; ერთად ერთი იმათი საკვები ფოთლებილაა. დიდ გაჭირვებაში არიან განსაკუთრებით რაჯაპუტანისა და ბომბეისა და ბერადის საპრეზიდენტოების მცხოვრებნი. ამ ადგილებში წყალიც ძნელი საშოვნელი გახდა. სიკვდილი ასობით და ათასობით ისტუმრებს მცხოვრებთ საიქიოსაკენ. ხალხთან ერთად იღუპება საქონელიც. გაჭირვებულთა რიცხვი თხუთმეტს მილიონს აღემატება, აქედგან საქველმოქმედო საზოგადოებანი მხოლოდ სამ მილიონს უძლვებიან და ასე თუ ისე დახმარებას უწევენ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 მარტი.

**ლონდონი.** „Times"-ს დეპეშით ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდგან, რომ ავსტრიელი ეილერი, რომელიც რანდის სამადნო პოლიციის კაპიტანია, ბევრს ეცადა მადნების აფეთქების ნება არ მიეცა ბურებისათვისაო. როდესაც ეილერმა გაიგო, კაცებია გამოგზავნილი იმ აზრით, რომ ნაღმების ჩასაწყობად მუშაობა დაეწყოთ, დააპატიმრა უფროსი ამ კაცებისა. სულ გაგზავნილი ყოფილა სამუშაოდ 40 კაცი. სახელმწიფო მადნების ინჟინერმა მუნიკმა წინააღმდეგობა გაუწია და გამოუცხადა ეილერს, რომ ეგ კაცები ჩემის ბრძანებით იქმნენ გამოგზავნილიო. მაშინ ეილერმა წერილობით ბრძანება მოსთხოვა და მუნიკმაც გაუგზავნა. შემდეგ ეილერმა ეს ამბავი პრეტორიის მთავრობას აცნობა და პროტესტი გამოუცხადა, რის გამო მუნიკის ბრძანება გაუქმებულ იქმნა. ეხლა თვით ეილერი ადევნებს თვალყურს მადნებს.

„Daily News"-ს ატყობინებენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დღეს გემზედ დასხეს და წმ. ელენეს კუნძულზედ გაგზავნეს 400 ტყვე ბური.

„Times"-ს ატყობინებენ ბლუმფონტეინიდამ, რომ ინგლისის რაზმი ვეპენერთან სულ 400 კაცისაგან შესდგებოდა.

„Standard"-ს დეპეშით აცნობებენ დურბანიდამ, რომ ნატალიდგან მთელი ბრიგადა წავიდა ორანჟის ჯართან შესაერთებლად. დღეს ორ რაზმს დასხამენ კიდევ გემებზედ. ბრიგადის უფროსად გენერალი გატეკრი იქმნა დანიშნული.

**დურბანი.** როგორც სარწმუნო წყაროებიდგან მიღებული ცნობები გამოგვაცხადებენ, იოჰანესბურგის მადნები ბურებს დაშხივრიან ნაღმების ჩასაწყობად და ასაფეთქებლად იმ შემთხვევაში, თუ ბურები საბოლოოდ დამარცხდნენ.

აქ მოვიდნენ ლედი-სმიტიდგან გენერალი გაუსტერი და მრავალ-რიცხოვანი ჯარი. ამ ჯარს გემებზედ დასხამენ. არავინ იცის, სად იქმნება ჯარი გაგზავნილი.

**კარნარვონი.** (კაპის ახალშინი). პოლკოვნიკი პასონი აქ მოვიდა თავის შტაბით. კაპის ახალშინის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში აჯანყება ჩაქრალ იქმნა. კენგარდტენსა და აინგტონში ჯერ კიდევ ინგლისის ჯარია. ამბობენ, რომ მეამბოხეთა მეთაურნი ტყვედ იქმნენ წაყვანილნი.

**ალივალნორტი.** ნაშუადღევს კიტჩინერი აქ მოვიდა ჯარის დასათვალიერებლად. კიტჩინერმა ვეპენერის მცველთ გასამხნევებლად წერილი გაუგზავნა, რომელშიაც ამბობს, იმედი მაქვს, რომ მალე მეცხოვრებთა მდგომარეობა შეიცვლებაო. სადაომით კიტჩინერი ხელ-ახლა წავიდა ქალაქიდგან.

ვეპენერთან მოახლოვებულ ბრძოლაში ორ-მაგმაზს ბურებმა დიდად იზარალეს. იმათი დიდი ზარბაზანი დამტვრეული იქმნა. გუშინ ისეთი ძლიერი სროლა აღარა ყოფილა, როგორიც წინად იყო. დღეს ხელ-ახლა ისროდნენ ზარბაზნებიდგან, ამასთან მეცხოვრებთ დაიცვეს თავიანთი პოზიცია. მტრის მცირე რაზმები დაინახეს მდ. ორანჟის სამხრეთისკენ მიმავალი.

**პრაგა.** კლადნოში 41 სახლი დაიწვა.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ელანდსლააგტედან: „გუშინ ხელ-ახლა მოხდა ბრძოლა. ბურები წამ და უწუმ იერიშით მიდიოდნენ ინგლისელების პოზიციებზედ. ბურები დიდის ზარბაზნებიდგან ისროდნენ ყუმბარებს. მათ განიზრახეს ბანაკიდგან მდ. სუნდესისა და ლედი-სმიტისაკენ მიმავალი გზა დაეჭირათ და ამისთვის ორჯელ მიიტანეს იერიში, მაგრამ ორჯელვე უკუ გდებულ იქმნენ.

გლენკოისთან მყოფ ბურების ბანაკიდგან დეპეშით იუწყებიან: „28 მარტს, გათენებისას, ბურებმა ჯარი ინგლისის ბანაკს მახლობლად გორაკებისაკენ გაგზავნეს და ამ გორაკებიდგან სროლა დაუწყეს ბანაკს. სროლამ მთელი დღე გასტანა. ინგლისელებს უთუოდ დიდი ზარალი მოუვიდათ, ზოგიერთი ყუმბარა შიგ შუაგულ ჯარში ეცემოდა. ბურებს მხოლოდ სამი ჯარი და ორი ცხენი მოუკლეს.

31 მარტი

**ლონდონი.** როგორც „რეიტერის აგენტი" იუწყება, სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებმა ოფიციალურად აცნობეს პორტუგალიას, რომ ინგლისის ჯარის გატარება პორტუგალიის ადგილს ბეირაზედ ეთანაბრწოლება მტრულ მოქმედებასო. აქ იმ აზრისანი არიან, რომ რესპუბლიკების ულტიმატუმს მათის მხრით რამე ზომების მიღება მოჰყვება. ჰფიქრობენ აგრეთვე, რომ იმ შემთხვევაში, თუ პორტუგალიას თავს დაესხნენ, ინგლისი მაშინვე შეშველებას აღმოუჩენსო. ულტიმატუმზედ პორტუგალია მიუგებს რესპუბლიკებს, რომ ინგლისთან დადებულ ხელშეკრულებას თანხმად ვიქცევიო.

**დურბანი.** რეიცის განკარგულებით ინგლისისა და ამერიკის ყველა ქვეშევრდომი ორის კვირის განმავლობაში უნდა გავიდეს ტრანსვაალიდგან.

გერმანიის გემით დელაგუაში 70 მგზავრი მივიდა. ამათგან ოცდა ხუთს, ინგლისის ელჩის მოთხოვნილებით, ბაშფორთები არ მიეცათ ტრანსვალში წასასვლელად, რადგან იმათ ბარგში საომარი მასალა ჰნახეს.

**ალივალნორტი.** ვეპერენის მეციხოვნენი ჯერ მაგრა უდგანან მტერს; ზარბაზნების სროლა განაახლეს დღეს დილით. ბურებმა პოზიციაზედ სამი ზარბაზანი კიდევ დადგეს, მაგრამ საომარი მასალა ნაკლებადა აქვთ.

**პარიჟი.** სენატმა და დეპუტატთა პალატამ კრებები 22 მაისამდე გადასდეს.

**ლედი სმიტი.** აქ იმედი არა აქვთ რომ ბურებმა გუშინდელი დემონსტრანცია ელანგლააგტენთან განაგრძონ. მდ. სიდნეიზედ ხიდი ჯერ ისევ ინგლისელების ხელშია. ფიქრობენ, რომ ბურებმა თავიანთ ჯარს იმ გორაკზედ მოუყარეს თავი, რომელიც ინგლისელთა პოზიციების პირდაპირაა. დღეს რამდენიმე შეტაკება მოხდა. ბურების პოზიცია, რამდენადაც გუშინ შენიშნეს, გაჭიმულია გორაკების გაყოლებაზე. ამ გორაკების სიგრძე 15 მილა იქმნება.

**აკკრა.** როგორც ისმის, გუბერნატორი სერ ფრედერიკ გოჯსონის მტრის ხელშია. 800-მდე დაქირავებული ჯარის-კაცი შეიძლება საქმეში იქმნენ მოხმარებული. თავისუფალ მეომართ ერთხმად გამოაცხადეს აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის თანხმობა. ერთი ევროპიელი მისიონერი იწერება აშანტიებს ქვეყნიდგან, რომ აქ მოჰკლეს ხუთი ინგლისელი აფიცერი და 40 ხაუსიო.

**ბერლინი.** მაგისტრატმა გადასწყვიტა მოსთხოვოს ქალაქის წარმომადგენელთ 50,000 მარკა ქალაქის მოსართავად იმპერატორის ფრანციოსების მოსვლის დროს.

**ბლუმფონტეინი.** როგორც საუბგურ კარრიდგან იუწყებიან, მტერი ამ ჟამად ამაგრებს ბრანდფორტის აღმოსავლეთით პოზიციას. ეს პოზიცია რკინის გზის გაყოლებაა. ამავე დროს მზვერავს გადასცეს, რომ მტრის დიდი ჯარი ვატერვალდრიფტსა და წყლის მილს იჰერსო.

---

### წერილი რედაქციის მიმართ

—

უღრმესს მადლობას ვუცხადებ თ-დ გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძეს, „ჯეჯილის" რედაქტორს ა. წერეთლისას და თ. მიხეილ ნიკოლოზის ძე დიასამიძეს, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულ საქაშეთის სკოლას შემოსწირეს: პირველმა—მაგიდა და სკამი მასწავლებლისა, მეორემ—1898 და 1899 წლების ჟურნალ „ჯეჯილის" ნომრები უფასოდ და მესამემ ამ წლის ჟურნალი „ჯეჯილი".

მასწავლებელი საქაშეთის სკოლისა დ. ს. პავლიაშვილი

---

### სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

**სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი**

1 აპრილი.

საქმე ანტონ გელაშვილისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-1489 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

არტემ მირაქოვისა, რომელსაც გაძარცვა ბრალდება.

თედორე დანელიასი, რომელსაც გაძარცვა ჰბრალდება.

მიხეილ ზარიძისა, რომელსაც სიყალბე ჰბრალდება.

გაბო გებუაძისა, რომელსაც ყალბის ვერცხლის ფულის კეთება ჰბრალდება.

22 აპრილი

საქმე მღვდლის ელიშე გეგომიანცისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-190 და 194 მუხ. დანიშნული ბრალი ედება.

ქ. ტფილისის მე-9 ნაწილის პოლიციელის ჩაევსკისა, რომელსაც სამსახურის დროს ჩადენილი უკანონობანი ჰბრალდება.

დიოდიმე ჯინორიასი, დათა კორძახიასი და მარინე რუბენიასი, რომელთაც ფიცით ცრუ მოწმობა ჰბრალდებათ.

ივანე კოკაშვილისა, რომელსაც მამის მოკვლა ჰბრალდება.

ილია ბეჟანაშვილისა და ივანე წილკაშვილისა, რომელთაც გაძარცვა ჰბრალდებათ.

---


## განცხადებანი

**ნ. ა. საბაევის მაღაზია**

აცხადებს, რომ რადგანაც ბევრი საქონელია ამ ჟამად მაღაზია'ში თავმოყრილი და მრავალია აგრეთვე ცალ-ცალად, რაც დიუჟინს არ ავსებს და მთელს სერვიზსაც არ შეადგენს,

**15 მარტიდგან 9 აპრილამდე მოხდება**

**დიდი ვაჭრობა**

გაიყიდება შემდეგი ნივთები:

ჭურჭელი: ფაიფურისა, ფაიანსისა (ქაშანურისა), შუშისა; სერვიზი: სადილისა და ჩაისა. ლამპრები და მელქიორიდგან გაკეთებული ნივთები, ოჯახისთვის საჭირო ნივთები.

— სხვა-და-სხვა აგეჯეულობა. —

გაიყიდება ყველა ეს საქონელი ნამდვილის ფასის 25°/₀ დგან 50₀/°-ამდე დაკლებით.

ჩემს მაღაზიაში დანიშნული ვაჭრობა არაფრით არა ჰგავს იმ ვაჭრობას, რომელიც ხშირად იმართება სხვა მაღაზიებში. ჩემს მაღაზიაში ვაჭრობა მხოლოდ იმიტომ მოხდება, რომ ბევრი საქონელი შეიკრიბა და მრავალია დიუჟინ და სერვიზ-შეუსრულებელი.

ვაჭრობა ცალკე განსაკუთრებულ ამისთვის მოწყობილ სადგომში მოხდება ოლღობერის ქუჩაზედ, ჩემის აგეჯეულობის მაღაზიის გვერდით.

იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება უყურადღებოდ არ დამტოვებს.

(15—6.—9) ნ. ა. საბაევი.

---

პუშკინის ფოტოგრაფია

**ა. ს. ნორდშტეინისა,**

რომელიც 1892 დან 1899 წლამდე როინოვის ფოტოგრაფიას განაგებდა,

აკეთებს ყოველ-გვარ ფოტოგრაფიულ საქმეს.

სურათების გადაღება შეიძლება ყოველ დროს, მიუხედავად ამინდისა.

სამხედრო წოდების კაცთ და მოსწავლეებს ნაკლები სასყიდელი გამოერთმევათ.

ტფილისი, პუშკინის ქ., წურინოვის სახლი, თამამშევის ქარვ. პირდაპირ.

(30—44—21)

---

დასასრული

**ქართლის ცხოვრებისა**

მესამე წიგნი

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ფასი 2 აბაზი. ისყიდება ყველა წიგნის მაღაზ.

---

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ.—3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე"**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან ლამწვარს კაეს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენია:** დიდი ქილა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—90)

---

# ПАРИЖСКАЯ ГАЗЕТА

Русское ежедневное политическое и литературное изданіе съ иллюстраціями въ текстѣ.

I. Оффиціальный отдѣлъ: Дѣйствія и распоряженія русскаго правительства.—II. Циркуляры и распоряженія по всемірной выставкѣ и по русскому отдѣлу.—III. Ежедневныя телеграммы и корреспонденціи изъ крупнѣйшихъ центровъ Европы и изъ главнѣйшихъ городовъ Россіи отъ собственныхъ корреспондентовъ.—IV. Политическое обозрѣніе.—V. Обзоры русской и иностранной печати.—VI. Хроника русской столичной и провинціальной жизни.—VII. Хроника иностранной жизни.—VIII. Судебный отдѣлъ.—IX. Театръ и музыка.—X. Фельетонъ: научное обозрѣніе, беллетристика.—XI. Всемірная выставка: описанія русскаго и иностранныхъ отдѣловъ.—XII. Спортъ.—XIII. Биржевой бюллетень.—XIV. Библіографія.—XV. Справочныя свѣдѣнія.—XVI. объявленія.

Отдѣльные номера въ Парижѣ по 15 сантимовъ.

Подписка принимается съ 1-го и 15-го каждаго мѣсяца.

**Цѣна съ доставкой и пересылкой:**

| | 1 мѣсяцъ | 3 мѣс. | 6 мѣс. | 1 годъ |
|---|---|---|---|---|
| Во всѣ города Россіи | 3 р. | 8 р. | 15 р. | 28 р. |
| Въ остальные города почтоваго союза | 7 франк. | 17 фр. | 35 фр. | 70 фр. |
| Въ парижѣ и въ Д-тѣ Сены и Уазы | 5 фр. | 13 фр. | 25 фр. | 50 фр. |
| Въ остальной Франціи | 6 фр. | 15 фр. | 30 фр. | 60 фр. |

Объявленія (для Россіи) { На 1-ой стр. по 5 франковъ (2 руб.) за строку петита. На 4-ой стр. по 1 фр. 50 сант. (60 к.) „

Подписки и объявленія принимаются:

**въ главной конторѣ парижской газеты.**

Парижъ, 18, Бульваръ Монмартръ

(Administration de la PARIJSKAYA GAZETA Paris, 18, boulevtrd Montmatre);

въ отдѣленіи конторы на всемірной выставкѣ, въ главнѣйшихъ книжныхъ магазинахъ заграницы и Россіи, въ книжныхъ магазинахъ Т-ва Вольфа, Мелье, **петербургѣ** и Новаго Времени въ **петергбургѣ, москвѣ, харьковѣ** и **одессѣ**; въ **москвѣ**: въ конторѣ ф. Зогдинскаго, (отдѣленіе конторы Русскаго Листка) Петровка д. Грачева; въ **москвѣ** и **петербургѣ**: въ конторѣ торговаго дома Л. и Э. Метцль и К° и въ Агентствѣ Парижской Прессы Віолэ; въ **одессѣ**: въ книжныхъ магазинахъ Руссо, Москетти, Распопова, Штадельмайера и въ газетномъ кіоскѣ Свистунова; въ **кіевѣ**: въ книжномъ магазинѣ Идзиковскаго, въ Харьковѣ въ книжномъ магазинѣ Южнаго Края.

Отдѣльные номера продаются въ кіоскахъ и на станціяхъ желѣзныхъ дорогъ. (5—з.—2)